

30ნ მიიღებს გრანტს?

საგრანტო განაცხადები გაივლის ტექნიკური შეფასების ეტაპს პლატფორმაზე (www.faoqrants.ge) წარდგენის თარიღისა და თანხების ხელმისაწვდომობის შესაბამისად.

მუნიციპალიტეტი	ინვესტიციები	მომწოდებელი	გრანტი %	ღირებულება აბთა ჯაჭვი
ენპარდის 8 მუნიციპალიტეტი	წვეთოვანი სარწყავი სისტემა	„ანტგეო“	60%	ნებისმიერი
	ტრაქტორის კომპლექტი	„აგროტექნო“ „აგრო მოტორსი“ „ასპ გრუპი“ „და ს ჯგუფი“ „ჯიემსი მოტორსი“ „ჯი-თი გრუპ“ „ჰერმესი“ „მარ-მოტი“ „ნობლექსი“ „ვილანუს ბალტიკი“	40%	ნებისმიერი
	წულოვანი დამუშავების სათესი	„აგრომოტორსი“	60%	მარცვლეული
გორი	სეტყვის სანინააღმდეგო ბადეები	„ანტგეო“	40%	ვაშლი
	წულოვანი დამუშავების სათესი	„აგრომოტორსი“	60%	მარცვლეული

საკონტაქტო ინფორმაცია:

საგრანტო პროგრამასთან დაკავშირებული სრული ინფორმაცია იხილეთ: www.faoqrants.ge

ნებისმიერი დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ვებ-გვერდზე მითითებულ რეგიონულ კოორდინატორებს ან დაუკავშირდით ელექტრონულ საფოსტო მისამართზე: info@enpard3.mepa.gov.ge



CNFA



ევროკავშირი
საქართველოსთვის
Project funded by the European Union



Food and Agriculture
Organization of the
United Nations



სასოფლო-სამეურნეო ინიციატივების მხარდაჭერა ENPARD III-ის ფარგლებში - საგრანტო კონკურსი

ევროკავშირი და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO), ENPARD-ის პროგრამის ფარგლებში აცხადებენ საგრანტო კონკურსს სასოფლო-სამეურნეო ინიციატივების მხარდასაჭერად. ამ ინიციატივის მიზანია, ფერმერებს, სოფლის შინამეურნეობებს, კოოპერატივებს, მცირე და საშუალო მეწარმეებს გაუმჯობესდეთ წვდომა ფინანსებზე, სერვისებსა და საწარმოო ტექნიკურ აღჭურვილობაზე.

ეს პროცესი ემსახურება სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობის ზრდასა და სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის უკეთესი საარსებო წყაროების შექმნას.

ვის შეუძლია განაცხადის შემოტანა?

მოცემული პროგრამა ითვალისწინებს ინდივიდუალური ფერმერების, საქართველოში რეგისტრირებული მცირე და საშუალო მეწარმეებისა და კოოპერატივების მხარდაჭერას.

რა ფინანსდება?

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება შემდეგი წინასწარ განსაზღვრული ინვესტიციები:

- ნიადაგის ნულოვანი დამუშავების სათესი. დაფინანსების თანაფარდობა: 60% - გრანტი, 40% - თანადაფინანსება ბენეფიციარის მხრიდან.
- წვეთოვანი სარწყავი სისტემა, მაქსიმუმ 3 ჰექტრამდე. დაფინანსების თანაფარდობა: 60% - გრანტი, 40% - თანადაფინანსება ბენეფიციარის მხრიდან.
- დაბალი წარმადობის ტრაქტორის კომპლექტი, იმპლემენტებით. დაფინანსების თანაფარდობა: 40% - გრანტი, 60% - თანადაფინანსება ბენეფიციარის მხრიდან. შემოთავაზებული იქნება რამდენიმე კომპლექტი, სხვადასხვა მომწოდებლისგან. თითო გრანტიორს შესაძლებლობა ექნება მიიღოს მხოლოდ ერთი კომპლექტი.
- სეტყვის საწინააღმდეგო ბადეები გორში ვაშლის მწარმოებლებისთვის, მაქსიმუმ 2 ჰექტრამდე. დაფინანსების თანაფარდობა: 40% - გრანტი, 60% - თანადაფინანსება ბენეფიციარის მხრიდან.

ვისგან შეიძლება შეიქმნას?

პროგრამა ითვალისწინებს დადგენილი აღჭურვილობების შექმნას წინასწარ შერჩეული მომწოდებლებისგან:


ნიადაგის ნულოვანი დამუშავების სათესი - შპს „აგრომोटორსი“
 წვეთოვანი სარწყავი სისტემა - შპს „ანტგეო“
 დაბალი წარმადობის ტრაქტორის კომპლექტი - „აგროტექნო“, „აგრო მოტორსი“, „ასპ გრუპი“, „დ და ს ჯგუფი“, „ჯი ემ სი მოტორსი“, „ჯი-თი გრუპ“, „ჰერმესი“, „მარ-მოტი“, „ნობ-ლექსი“, „ვილანუს ბალტიკი“
 სეტყვის საწინააღმდეგო ბადეები - შპს „ანტგეო“

დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: www.fao.grants.ge

სად?

თქვენ შეგიძლიათ გრანტის მოთხოვნა იმ შემთხვევაში, თუ თქვენი ფერმა, ბიზნესი ან პროექტი მდებარეობს ქვემოთ ჩამოთვლილი მუნიციპალიტეტებიდან ერთ-ერთში.

ენპარდის მუნიციპალიტეტები:



როგორი ღირებულებათა ჰაჭვები დაფინანსდება?

თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ წვეთოვანი სარწყავი სისტემა ან ტრაქტორის კომპლექტი, თუ თქვენ საქმიანობთ ენპარდის მუნიციპალიტეტებიდან ერთ-ერთში.

თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ ნიადაგის ნულოვანი დამუშავების სათესი, თუ თქვენ საქმიანობთ ენპარდის მუნიციპალიტეტში, ან გორის მუნიციპალიტეტში და აწარმოებთ მარცვლეულ კულტურებს.

თქვენ შეგიძლიათ სეტყვის საწინააღმდეგო ბადის მოთხოვნა, თუ თქვენ საქმიანობთ გორის მუნიციპალიტეტში და აწარმოებთ ვაშლს.

